1957

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (77) თებერვალი 1957 წ.

7355

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება კომპოზიტორ ანდრია მელიტონის-ძე ბალანჩივაძისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

2. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სტატისტიკური ანგარიშების 1956 წლის შედეგების შესახებ.

3. სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა კანონიერების შესახებ.

4. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის „პასუხისმგებლობის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად დადებული ჯარიმის და ზარალის იძულებით გადახდევინების წესის შესახებ.

5. ბრძანებულება სოხუმის რაიონის გუმისთის სასოფლო საბჭოდან სოფელ მაიაკის და ბესლეთის სასოფლო საბჭოდან სოფელ ბესლეთის ტერიტორიის ნაწილის გამოყოფისა და მათი ქალაქ სოხუმზე მიკუთვნების შესახებ.

6. ბრძანებულება თბილისის —ნინოწმინდის № 14 საარჩევნო ოლქში, თბილისის—სტუდენტთა № 41 საარჩევნო ოლქში და თელავის—სტალინის საქალაქო № 166 საარჩევნო ოლქში, გასული დეპუტატების ნაცვლად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დღის შესახებ.

7. ბრძანებულება საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სპატიო წოდებია მინიჭების შესახებ.

8. ბრძანებულება საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის სპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

9. ბრძანებულება აჭარის ასსრ ხელოვნების მუშაკთათვის სპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

10. ბრძანებულება აჭარის ასსრ სიმფერიისა და ცეკვის ანსამბლის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭის პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

11. ბრძანებულება აჭარის ასსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის ძირითადი სამუშაოსაგან განთავისუფლების შესახებ.

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის ნინოწმინდის № 14 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის სტუდენტთა № 41 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

15. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თელავის—სტალინის საქალაქო № 166 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

16. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება კომპოზიტორ ანდრია მელიტონის-ძე ბალანჩივაძისათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ ა. მ. ბალანჩივაძის დაბადებიდან 50 წლის შესრულებასთან დაკავშირებით და მისი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის აღსანიშნავად მიენიჭოს კომპოზიტორ ანდრია მელიტონის-ძე ბალანჩივაძეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 29 იანვარი.

2. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სტატისტიკური ანგარიშების 1956 წლის შედეგების შესახებ

განიხილა რა ადგილობრივი საბჭოების 1956 წლის სტატისტიკური ანგარიშები საბჭოების სესიების მოწვევის, დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის და აღმასკომების მიერ საბჭოებისათვის ანგარიშების ჩაბარებისა და მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი საბჭოების მთელი რიგი აღმასკომები ზუსტად იცავენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიების მოწვევის ვადებს; გაუმჯობესდა დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების და ამომრჩეველთა წინადადებების შესწავლისა და შესრულების საქმე. მიუხედავად ამისა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების 29 პროცენტმა დაარღვია სესიების მოწვევის დადგენილი ვადები, ხოლო ბოლნისის სადაბო საბჭომ მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ მოიწვია სესია და განიხილა ორი საკითხი.

ადგილობრივი საბჭოების სესიების მოწვევის ვადების შეცვლის შემდეგ, ე. ი. 1956 წლის 1 ოქტომბრიდან წლის ბოლომდე, ადგილი არ ქონია სესიების მოწვევის ვადების დარღვევას. საანგარიშო წელში ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების საერთო რიცხვიდან ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა 23.235 დეპუტატმა, ანუ 84 პროცენტმა.

ამ საქმეში ზოგიერთი საბჭოს აღმასკომმა ვერ უზრუნველყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებათა შესრულება, რის შედეგად ბორჯომის და კაპრეთის რაიონული საბჭოების არც ერთ დეპუტატს ამომრჩევლებისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საერთო რიცხვიდან, საბჭოებისათვის ანგარიშები ჩაბარებული აქვს 89 პროცენტს.

ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებად, თავმჯდომარეების მოადგილეებად და მდივნებად მუშაობენ ისეთი პირები, რომლებიც არ არიან დეპუტატები. 1957 წლის 1 იანვრისათვის 120 აღმასკომის თავმჯდომარე, 23 თავმჯდომარის მოადგილე და 115 მდივანი არ იყვნენ დეპუტატები, მათ შორის—სასოფლო საბჭოს აღმასკომის 105 თავმჯდომარე და 104 მდივანი.

სტატისტიკური ანგარიშების მიხედვით ჩანს, რომ ყველა საბჭოსთან შექმნილია 4.651 მუდმივი კომისია, რომლებშიც გაერთიანებულია 22.215 დეპუტატი, ანუ 80 პროცენტი და კომისიების მუშაობაში ჩაბმულია აქტივი, რომელიც 32 ათასამდე კაცს აერთიანებს. მიუხედავად ამისა მუდმივი კომისიების მუშაობა სუსტია; აღმასკომები ნაკლებად იზიდავენ მათ საკითხების მომზადებაში, კომისიები იშვიათად გამოდიან სესიებზე თანამოხსენებით საგიურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებზე. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები არ იცავენ არჩევნების დებულების 119 მუხლის მოთხოვნას, რის შედეგად 1956 წელს საბჭოებიდან გასული 1.087 დეპუტატის ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევნები ჩატარებულია მხოლოდ 13 საარჩევნო ოლქში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ:

დაივალოს სოოლქო. რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ სესიების მოწვევის ვადების დაცვა; მიიღონ ზომები მუდმივი კომისიების მუშაობის გასაუმჯობესებლად და ფართოდ ჩაბმან ისინი საბჭოების სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში; განამტკიცონ დეპუტატების კავშირი თავიანთ ამომრჩევლებთან, უზრუნველყონ დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების პერიოდულად ჩაბარება, აგრეთვე ამომრჩეველთა წინადადებების შესწავლა და მათი განხორციელება; არ დაუშვან საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებად, მოადგილეებად და მდივნებად არადეპუტატების არჩევა.

ერჩიოთ აფაზეთისა და აჭარის უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს აღნიშნული დადგენილება განიხილონ თავიანთ სხდომებზე და დასახონ საჭირო ღონისძიებანი საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ს. როხტაიშვილი.

ქ. თბილისი.
1957 წ. 31 იანვარი.

3. სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა კანონიერების შესახებ

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განწრახულებათა კომისიის თავმჯდომარის ამხ. მ. მ. ლელაშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მოხსენება ქუთაისისა და გორის საქალაქო, ქ. თბილისის გარეუბნის, თელავის, ხობის, ბორჯომის, ბოლნისის და წყალტუბოს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების და ამავე რაიონების ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა კანონიერების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მიღებული გადაწყვეტილებები ძირითადად შეესაბამებიან მოქმედ კანონმდებლობას. თბილისი გარეუბნის ამისა, ადგილი აქვს არასწორი გადაწყვეტილებების მიღებას. უხეშად ირღვევა სრულიად საქართველოს სსრ კაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულება „ადმინისტრაციულ გადასახდელთა შესახებ“. მაგალითად, ხობის, ქ. თბილისის გარეუბნის, თელავის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მიერ გამოტანილი სავალდებულო გადაწყვეტილებებით დაწესებულია სოფელ ადგილებისათვის 100 მანეთი ჯარიმა, ან 30 დღით იძულებითი მუშაობა, ნაცვლად დებულებით გათვალისწინებული 50 მანეთისა, ან 15 დღის იძულებითი მუშაობისა; თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დააწესა 100 მანეთი ჯარიმა ან 30 დღით იძულებით მუშაობა, ნაცვლად 50 მანეთისა, ან 15 დღის იძულებითი მუშაობისა, ქუთაისის რაიონის საყულის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა, გამოსცა რა სავალდებულო გადაწყვეტილება, დააწესა ჯარიმა სოფლის საბჭოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის 25—50 მანეთამდე, ნაცვლად 10 მანეთისა, ან 5 დღის იძულებითი მუშაობისა. ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი აქვს აგრეთვე ზოგიერთ სხვა სასოფლო საბჭოშიც.

იმის შედეგად, რომ მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები ნაკლებ კონტროლსა და ხელმძღვანელობას უწევენ კოლმეურნეობების გამგეობების მუშაობას, ადგილი აქვს მათ მიერ კანონსაწინააღმდეგო დადგენილებების მიღებას. თელავის რაიონის სოფელ იყალთოს რუსთაველის სახელობის, სოფელ აკურის „მოწინავის“, სოფ. რუისპირის „ყურძენ—თავთავის“, სოფ. ქვემო ხოდაშნის „შრომის კავშირის“ კოლმეურნეობების გამგეობებმა თვითნებურად დააკისრეს დამნაშავეებს წანახდილის ანაზღაურება და ჯარიმის გადახდა.

ასევე დადგენილია, რომ ბევრი სასოფლო საბჭო დროულად არ იხილავს წანახდეთ გამოწვეული ზარალის ანაზღაურების საკითხებს და მთელ რიგ შემთხვევებში დამნაშავე პირებს ზარალის ანაზღაურებასთან ერთად, არ აკისრებს ჯარიმის გადახდას.

ზოგიერთი რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, იხილავს რა მასალებს, რომლებითაც მტკიცდება ცალკეული პირების მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, დამნაშავე პირთა მიმართ არ ღებულობს კანონით გათვალისწინებულ ზომებს.

თელავის რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა რა სოფ. კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წლიური ანგარიში, გამოავლინა, რომ ფერმის გამგეს ნ. ბუხრაძეს დააკლდა 10 ცალი მსხვილფეხა და 32 ცალი ზვრილფეხა პირუტყვის ტყავი, ხოლო სოფელ ბუშატის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის საწყობის გამგეს ლ. გორგაძეს—1.470 კგ. სიმინდი, 87 კგ. ხახვი, 150 კგ. ქატო და სხვა პროდუქტები, მაგრამ დამნაშავე პირთა მიმართ არ ყოფილა მიღებული საჭირო ზომები.

უხეშად ირღვევა მოქმედი კანონმდებლობა კოლმეურნეობების გაყოფის, გაერთია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების, გაუქმებისა და კომლის მეთაურის დანიშვნის საკითხებში ქუთაისის და თელავის რაიონებში.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები მთელ რიგ შემთხვევებში არ ხელმძღვანელობენ მოქმედი კანონმდებლობით, რის შედეგადაც მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოებს ვერ აძლევენ კანონმდებლობიდან გამომდინარე მითითებებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს თავმჯდომარეებს მტკიცედ იხელმძღვანელონ მოქმედი კანონმდებლობით და დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად გაატარონ შემდეგი ღონისძიებები:

ა) უმოკლეს დროში გადასინჯონ და გააუქმონ სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მიერ მიღებული არასწორი გადაწყვეტილებები და არ დაუშვან შემდეგში კანონსაწინააღმდეგო მოქმედება;

ბ) სავალდებულო გადაწყვეტილებათა გამოცემისას მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ კაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულებით, ხოლო ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში—საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1928 წლის 29 იანვრის, 1932 წლის 22 თებერვლის და 1932 წლის 13 მარტის დადგენილებებით დამტკიცებული დებულებებით.

2. ჩატარდეს 1957 წლის აპრილში საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და მდივნების ექვსდღიანი სემინარი სახელმწიფო ხელისუფლების ადგილმრივი ორგანოების მუშაკებისათვის ძირითადი მოქმედი კანონმდებლობის და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გასაცნობად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიულ განყოფილებას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიულ ჯგუფთან და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად 1957—58 წლების განმავლობაში გამოსცეს კრებულის სახით იურიდიული ლიტერატურა სასოფლო, სადაბო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაითვალისწინოს იურიდიული ლიტერატურის კრებულის გამოსაცემად სათანადო ხარჯები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო და იურიდიულ განყოფილებებს დაინტერესებული ორგანიზაციების და სამინისტროების მონაწილეობით შეიმუშაონ სასოფლო, საქალაქო და რაიონული საბჭოების ახალი დებულებები და 1957 წლის 1 ნოემბრისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

5. საქართველოს სსრ პროკურორმა ამხ. მ. ე. თოფურიძემ გააძლიეროს ზედამხედველობა სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა კანონიერებაზე და გამოვლინებული დარღვევების შესახებ პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

6. ერჩიოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიუმგს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს ჩაატარონ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა კანონიერების შემოწმება და მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

7. დაევალოს ქუთაისის და გორის საქალაქო საბჭოების აღმასკომების და გორის, ქ. თბილისის გარეუბნის, თელავის, ხობის, ბორჯომის, ბოლნისის და წყალტუბოს რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ ა/წლის 1 აგვისტოსათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტომაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 31 იანვარი.

4. „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახნედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად დადებული ჯარიმის და ზარალის იძულებით გადახდევინების წესის შესახებ

ადგილებიდან მიღებული შეკითხვების გამო, თუ როგორი წესით უნდა მოხდეს „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახნედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად დადებული ჯარიმისა და ზარალის იძულებითი გადახდევინება, უკეთუ პირუტყვისა და ფრინველის პატრონები უარს განაცხადებენ ანაზღაურონ ზარალი და გადაიხადონ ჯარიმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ მეურნეობებში ნათესების, მდელოების, თივის და ჩალის ზვინების წახდენით და ხიდ-კენკრის, მინდორსაცავი და მრავალწლიანი ნარგავების (ბაღ-ვენახი, ციტრუსები, ჩაის პლანტაციები და სხვ.) დაზიანებით მიყენებული ზარალის და აგრეთვე ჯარიმის გადახდევინება წარმოებს ადმინისტრაციული წესით მშრომელთა დეპუტატების იმ სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებით, რომელთა ტერიტორიაზეც მოხდა ნათესების წახდენა და ნარგავების დაზიანება.

2. მიყენებული ზარალის რაოდენობას განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული კომისია მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოს წარმომადგენლის თავმჯდომარეობით, რის შესახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაც დგება აქტი, რომელიც წარედგინება სასოფლო, სადაბო ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მიყენებული ზარალის რაოდენობის განსაზღვრა და აქტის შედგენა ხდება ზარალის მომყენებელი პირუტყვისა და ფრინველის პატრონის თანდასწრებით, ხოლო პატრონის გამოუცხადებლობის შემთხვევაში—მის დაუსწრებლად.

3. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი კომისიის აქტის მიღებიდან სამი დღის ვადაში გამოიტანს და გადწყვეტილებას ზარალის და ჯარიმის გადახდევინების შესახებ. გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებულ მხარეთა გამოწვევით, ხოლო გამოუცხადებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება მხარეთა დაუსწრებლად.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ხუთი დღის ვადაში მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

4. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება ნათესების წახდენისა და ნარგავების დაზიანებისათვის ზარალისა და ჯარიმის გადახდევინების შესახებ დაუყოვნებლივ ეგზავნება იმ მოქალაქეს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომლებიც ვალდებული არიან აანაზღაურონ ზარალი და გადაიხადონ ჯარიმა, წინადადებით, რომ აღნიშნული გადაიხადონ გადაწყვეტილების მიღებიდან ათი დღის ვადაში.

5. მოქალაქეებზე დადებული ჯარიმა უნდა შეტანილ იქნას სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში ან სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში ჩასარიცხად.

6. უკეთუ კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა ან სხვა ორგანიზაცია, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი და გადაიხადოს ჯარიმა, არ აანაზღაურებს ზარალს და არ გადაიხდის ჯარიმას ათი დღის ვადაში, გადაწყვეტილება ზარალის და ჯარიმის გადახდევინების შესახებ ეგზავნება ბანკის იმ დაწესებულებას, რომელშიც ორგანიზაციას აქვს მიმდინარე (საანგარიშსწორებო) ანგარიში, რათა გადახდევინება მიქცეული იქნას ამ ანგარიშზე.

7. უკეთუ ათი დღის ვადაში ზარალს არ აანაზღაურებს და ჯარიმას არ გადაიხდის მუშა, მოსამსახურე, ან სარეწაო არტელის წევრი, საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება უნდა გაეგზავნოს იმ საწარმოს ან დაწესებულებას, სადაც ეს პირები მუშაობენ, რათა ზარალი და ჯარიმა დაუკავონ ხელფასიდან.

8. უკეთუ ათი დღის ვადაში ზარალს არ აანაზღაურებენ და ჯარიმას არ გადაიხდიან კოლმეურნეები და სხვა მოქალაქენი, გადახდევინება მიიქცევა მათს ქონებაზე. ქონების აღწერა და ამოღება ხდება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადწყვეტილებით რაიონული საფინანსო განყოფილების საგადასახადო ინსპექტორის მიერ ორი მოწმის და პირუტყვის და ფრინველის პატრონის ან მისი ოჯახის სხვა სრულწლოვანი წევრის თანდასწრებით. ამოღებული ქონება გადაეცემა რეალიზაციისათვის ადგილობრივ კოოპერაციულ, ან სახელმწიფო მაღაზიას.

ზარალის და ჯარიმის გადახდევინება არ მიიქცევა იმ ქონებაზე, რომელზეც კანონის თანახმად არ მიიქცევა კოლმეურნე კოლლების, ერთპიროვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნული მეურნეობებისა და ცალკეულ მოქალაქეთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების ნარჩენთა გადახდევინება.

9. ჯარიმას ნათესებში და ნარგავებში გავლისათვის (არაქვეითად) დამნაშავე პირებს დაადებს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. აქტს ნათესებსა და ნარგავებში არაქვეითად გავლის შესახებ ადგენენ კოლმეურნეობის გამგეობის, საბჭოთა მეურნეობის დირექციის, სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მეურნეობის წარმომადგენელი და ადგილზე მყოფი პირები. აქტი დგება დამნაშავე პირის თანდასწრებით, ან მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად.

ნათესებში გავლისათვის (არაქვეითად) ჯარიმის გადახდევინება ხდება 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების შესაბამისად მილიციის ორგანოების მიერ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 31 იანვარი.

5. ბრძანებულება სოხუმის რაიონის გუმისთის სასოფლო საბჭოდან სოფელ მაიაკის და ბესლეთის სასოფლო საბჭოდან სოფელ ბესლეთის ტერიტორიის ნაწილის გამოყოფისა და მათი ქალაქ სოხუმზე მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება სოხუმის რაიონის გუმისთის სასოფლო საბჭოდან სოფელ მაიაკის და ბესლეთის სასოფლო საბჭოდან სოფელ ბესლეთის ტერიტორიის ნაწილის, 61,5 ჰექტარის რაოდენობით, გამოყოფისა და მათი ქალაქ სოხუმის ფარგლებში შეტანის შესახებ, ქალაქ სოხუმთან ტერიტორიულად მათი შეზრდის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 31 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ბრძანებულება თბილისის—ნინოწმინდის № 14 საარჩევნო ოლქში, თბილისის—სტუდენტთა № 41 საარჩევნო ოლქში და თელავის—სტალინის საქალაქო № 166 საარჩევნო ოლქში, გასული დეპუტატების ნაცვლად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დღის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 99 მუხლის შესაბამისად, ნაცვლად გასული დეპუტატებისა, დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები, თბილისის—ნინოწმინდის № 14 საარჩევნო ოლქში, თბილისის—სტუდენტთა № 41 საარჩევნო ოლქში და თელავის—სტალინის საქალაქო № 166 საარჩევნო ოლქში, 1957 წლის 17 მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 31 იანვარი.

7 ბრძანებულება საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მედიცინის მეცნიერების და სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება:

1. ანდღიულაძეს ვასილ ალექსის-ძეს — პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს
2. ანთაძეს ვლადიმერ სამსონის-ძეს — პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს
3. ანთელავას ნიკოლოზ ვარდენის-ძეს — პროფესორს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს
4. გრიგოლიას ალექსანდრე ლუკას-ძეს — პროფესორს, კურორტოლოგიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის დირექტორს
5. ელიაშვილს ლეონტი ვასილის-ძეს — პროფესორს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს
6. მენთეშაშვილს ირაკლი ტიმოთეს-ძეს — პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სიხარულიძეს ივანე ალექსის-ძეს — პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს
8. ხრამელაშვილს ნიკოლოზ გიორგის-ძეს — პროფესორს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 31 იანვარი.

8. ბრძანებულება საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის **საპატიო წოდება:**

1. არონს მიხეილ აბრამის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა დახმარების სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს უფროს ინსპექტორს
2. ბელქანიას იაკობ ივანეს-ძეს — წალენჯიხის რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს
3. გეგელაშვილს ილია პეტრეს-ძეს — ქ. თბილისის IV პოლიკლინიკის ექიმ-ონკოლოგს
4. გოგიტიძეს ივანე დავითის-ძეს — ბავშვთა გაერთიანებული რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს პოლიკლინიკური განყოფილების გამგეს
5. დევიძეს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს — ქ. თბილისს სანიტარულ ეპიდემიური სადგურის სახელმწიფო სანიტარულ ინსპექტორს
6. ელისაშვილს შალვა ნიკოლოზის-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამკურნალო-სანიტარული სამსახურის მთავარ მენგინეკოლოგს
7. ეშბას დომინიკა თომას ასულს — აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკური ონკოლოგიური დისპანსერის განყოფილების გამგეს
8. ზაქარიაძეს ვლადიმერ თევდორეს-ძეს — მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. თვაურს მარგალიტა ვასილის ასულს — სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონული საავადმყოფოს ტუბერკულიოზის კაბინეტის ექიმ-ფთიზიატრს.

10. იაროსლავცევს კონსტანტინე ნიკოლოზის-ძეს — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო სამედიცინო განყოფილების ყოფილ უფროსს

11. კაკაბაძეს ნინო მაქსიმეს ასულს — აჭარის ასსრ სოფ. მახინჯაურის საექიმო უბნის გამგეს

12. კერესელიძეს პეტრე გაბრიელის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს IV სამმართველოს საავადმყოფო პოლიკლინიკის მთავარ ექიმს

13. კობახიძეს ვალენტინა ვლადიმერის ასულს — ცაგერის რაიონის სოფ. ტვიშის საექიმო უბნის გამგეს

14. კუკუჯანოვს ნიკოლოზ ივანეს-ძეს — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ყოფილ მთავარ ექიმს, ამჟამად ქ. თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის II ქირურგიული კათედრის პროფესორს

15. მაყაშვილს ლევან მიხეილის-ძეს — გუმჯაანის რაიონის სოფ. შრომის საექიმო უბნის გამგეს

16. მაჭავარიანს სიმონ ნიკოლოზის-ძეს — კანისა და ვენერიულ სნეულებათა რესპუბლიკური დისპანსერის მთავარ ექიმს

17. მხეიძეს არჩილ ნოეს-ძეს — აბასთუმნის ტუბერკულიოზის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმს

18. მხეიძეს ფარნაოზ აკაკის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულიოზის სამეცნიერო-კვლევითი რესპუბლიკური ინსტიტუტის ქირურგიული განყოფილების გამგეს

19. მჭედლიშვილს თომა ნიკოლოზის-ძეს — ლაგოდეხის რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს

20. ნიჟარაძეს გიორგი გაბრიელის-ძეს — მესტიის რაიონული საავადმყოფოს ექიმ-რენტგენოლოგს

21. ნიჟარაძეს შალვა ალექსანდრეს-ძეს — ამიერკავკასიის მედიცინის მუშაკს

22. პანიციდს ნადეჟდა ქრისტეფორეს ასულს — წალკის რაიონის სოფ. ბეშთაშენის საექიმო უბნის გამგეს

23. პაპავას ალექსანდრა იოსების ასულს — ორჯონიკიძის რაიონის პოლიკლინიკის ექიმ-სტომატოლოგს

24. რამიშვილს ანასტასია ირაკლის ასულს — თვალის სნეულებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ამბულატორიის გამგეს

25. სალაყაიას ნიკოლოზ გრიგოლის-ძეს — ამიერკავკასიის სამშენებლო სანიტარული განყოფილების უფროსს

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. სამადალაშვილს ალექსანდრე ვასილის-ძეს — ყვარლის რაიონის სოფ. ენისელის საექიმო უბნის გამგეს
27. სანადირაძეს მარიამ პარმენის ასულს — ვანის რაიონის სამშობიარო სახლის გამგეს
28. ქარცივაძეს რაისა ეფრემის ასულს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულიოზის სამეცნიერო-კვლევითი რესპუბლიკური ინსტიტუტის განყოფილების გამგეს
29. ქვარიანს ლევან კონსტანტინეს-ძეს — რუსთაველ ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეს
30. ქიქოძეს მიხეილ მოსეს-ძეს — ქ. თბილისის კანისა და ვენერიულ სნეულებათა I დისპანსერის მთავარ ექიმს
31. ქურციკაშვილს სოლომონ ლევანის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილეს
32. შიუკაშვილს თამარ მიხეილის ასულს — რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს კლინიკური განყოფილების ყოფილ გამგეს, ამჟამად პენსიონერს
33. შენგელიას მარიამ ვლადისლავის ასულს — ქ. თბილისის ტუბერკულიოზის I დისპანსერის ბავშვთა განყოფილების გამგეს
34. ჩიქოვანს ალექსანდრე ივლიანეს-ძეს — კურორტ საირმეს დირექტორს
35. ჩხოლარიას დიმიტრი ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ეპიდემიის საწინააღმდეგო სამმართველოს უფროს ინსპექტორს
36. წერეთელს ბორის შალვას-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორთოპედიისა და აღდგენითი ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს
37. ჭელიძეს ბარბალე ფილიპეს ასულს — ქ. ქუთაისის ბავშვთა პოლიკლინიკის კუჭ-ნაწლავის დაავადებათა კაბინეტის ხელმძღვანელს
38. ხეჩინაშვილს ნიკოლოზ სიმონის-ძეს — ქ. ქუთაისის ფიზიო-თერაპევტიული სტაციონარული სამკურნალოს გამგეს
39. ჯაშს პლატონ მაქსიმეს-ძეს — მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროს ექიმ-ინსპექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 31 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ბრძანებულება აჭარის ასსრ ხელოვნების მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის და ქალაქ თბილისში აჭარის ასსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

1. თეთრაძეს ნუნუ ილიას ასულს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.
2. მგელაძეს აკაკი დიომიდეს-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

ჩხიკვიშვილს მირიან მელქისედეკის-ძეს — აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მხატვრულ ხელმძღვანელსა და დირიქტორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

1. ახვლედიანს გიორგი მიტროფანეს-ძეს — აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტს, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
2. გურგენიძეს ლიუდმილა ბენიამინის ასულს — აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტს, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
3. დოღონაძეს გალაქტიონ იუსტინეს-ძეს — აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტს, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
4. იმნაიშვილს გოდერძი სარდიონის-ძეს — აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტს, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
5. ინწკირველს პავლე ივანეს-ძეს — აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტს, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს
6. მიქელაძეს თემურ მუსტაფის-ძეს — აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტს
7. ხაბაძეს ენვერ სულეიმანის-ძეს — აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტს, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქოროგრაფს

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ჯალალიანის მიხეილ სარდიონის-ძეს — აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტს, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს

9. ჯიჯეიშვილს ალექსანდრე ქრისტეფორეს-ძეს — აჭარის ასსრ დამსახურებულ არტისტს, ქორეოგრაფს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 31 ივნისი.

10. ბრძანებულება აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

ქართული სასიმღერო და ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის დაჯილდოვდეს აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 31 ივნისი.

11. ბრძანებულება აჭარის ასსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

აჭარის ასსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის და ქ. თბილისში აჭარის ასსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. აფხაზავა ლილი მიხეილის ასული — აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

2. ბეგალოვი სერგო ივანეს-ძე — აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი, აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ბოლქვაძე მამუდ აბდულის-ძე — მოქანდაკე
4. გაბისონია ვალერიან სერაფიმის-ძე — აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი
5. გარნელი-დარჩია ალექსანდრა გაბრიელის ასული — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
6. გვარიშვილი ნადეჟდა მამედის ასული — პოეტი
7. დავითულიანი ტარიელ გიორგის-ძე — აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი
8. ვასაძე ნესტორ გრიგოლის-ძე — ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენის მემანქანე
9. ზოიძე ეთერ მუსტაფას ასული — ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი
10. თავბერიძე ოლღა ნიკოლოზის ასული — აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი
11. კაიკაციშვილი ისკენდერ ხუსეინის-ძე — აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
12. კანდელაკი ვალერიან ლაზარეს-ძე — დრამატურგი
13. კეპაყმაძე ნაზი ქრისტეფორეს ასული — აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
14. ლაღიძე გრიგოლ მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი
15. ლონგურაშვილი ვერა ილიას ასული — ბათუმის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი
16. ლორია პარმენ ონისიმეს-ძე — მწერალი
17. ლუკაშვილი ლიუდმილა ალექსანდრეს ასული — აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი, აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი
18. მანგო ემანუილ ნიკოლოზის-ძე — ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ელექტრიკი-გამნათებელი
19. მეგრელიძე ხასან დურსუნის-ძე — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
20. მილორავა შოთა ერმილეს-ძე — კომპოზიტორი
21. მიქელაძე ხასან შუქრის-ძე — აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. მიქელთაძე სოკრატ ალექსანდრეს-ძე — ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ორკესტრის დირიჟორი
23. მეგრელიძე გივი ქიშვარდის-ძე — მხატვარი
24. მრავლაძე გიორგი კონსტანტინეს-ძე — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორი
25. ოქუაშვილი ვლადიმერ გიორგის-ძე — ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასის გამგე
26. რურუა პარმენ იონას-ძე — პოეტი
27. სალუქვაძე გიორგი გრიგოლის-ძე — პოეტი
28. სვანელი ლავრენტი ივანეს-ძე — აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
29. სულხანიშვილი თამარ ნიკოლოზის ასული — აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
30. ქუთათელაძე აკაკი ერმილეს-ძე — აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი
31. შერვაშიძე ამირან ჯემალის-ძე — დრამატურგი
32. შლიფერი ალექსანდრე მიხეილის-ძე — აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი, ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ორკესტრის კონცერტმეისტერი
33. ჩარექიშვილი ნიკოლოზ ივანეს-ძე — აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი
34. ცინცაძე იური დავითის-ძე — აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი
35. ჭანტურია ნელი გრიგოლის ასული — ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი
36. ხოლუაშვილი შოთა გიორგის-ძე — მხატვარი
37. ჯახუტაშვილი თამაზ გაბრიელის-ძე — აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 31 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის ძირითადი სამუშაოსაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი განთავისუფლდეს ძირითადი სამუშაოსაგან 1957 წლის 17 თებერვლიდან 18 მარტამდე, ძირითად სამუშაო ადგილზე ხელფასის შენახვით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ხ. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 13 თებერვალი.

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის ნინოშვილის № 14 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ა დ გ ე ნ ს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 39,40 და 41 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის ნინოშვილის № 14 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გოგოლაძე თადეოზ კალენიკეს-ძე — თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე კობახიძე ნიკოლოზ პარმენის-ძე — თბილისის № 2 ლუდის ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი შახნაზაროვა თამარ ივანეს ასული — ვენერიულ სნეულებათა № 2 დისპანსერის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

კასუმოვა ასია არტემის ასული — ვენერიულ სნეულებათა რესპუბლიკური დისპანსერის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

კორნე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლატიცინა კლავდია ივანეს ასული—არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების „დინამოს“ სტადიონის პირველადი ორგანიზაციისაგან;

თხელიძე სოკრატ ბეგლარის-ძე—სტამბა „საბჭოთა მწერალის“ პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

სტეფანენკო ნადეჟდა ანისიმეს ასული—წითელი ჯვრის ნებაყოფლობითი საზოგადოების კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის პირველადი ორგანიზაციისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — ს. როსტიაშვილი.

ქ. თბილისი.
1957 წლის 13 თებერვალი.

14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის სტუდენტთა № 41 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 39,40 და 41 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის სტუდენტთა № 41 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ელენტი სერგი მიხეილის-ძე—ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ღვამიჩავა ანდრო რომანოზის-ძე—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიური დისპანსერის მუშაკებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი გუბელაძე ნინო თადეოზის ასული—სტუდენტთა ქალაქის სამმართველოს პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

ტარასაშვილი გიორგი მიხეილის-ძე—სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველადი ორგანიზაციისაგან;

ავშაროვა მარიამ გაბრიელის ასული—თბილისის სასარაჯო-საგალანტერიო ფაბრიკის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ცქიფურაშვილი გიორგი კონსტანტინეს-ძე—საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანჩვიძე ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე—თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

მათიკაშვილი ირაკლი ლავრენტის-ძე—სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირის საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის პირველადი ორგანიზაციისაგან;

მიხაილოვი თეოდორე ივანეს-ძე—თბილისის ავეჯის ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — ხ. როსტიაშვილი.

ქ. თბილისი.
1957 წ. 13 თებერვალი.

15. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თელავის—სტალინის საქალაქო № 166 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 39,40 და 41 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თელავის სტალინის საქალაქო № 166 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნადაშვილი აღექსანდრე ლუკას-ძე—თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ყარაულაშვილი გრიგოლ ივანეს-ძე—კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თელავის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ბოჭორიშვილი ვერა ნიკოლოზის ასული—საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის თელავის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

თამაზაშვილი ლევან ზაქარიას-ძე—თელავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

გოგიაშვილი თამარ ვლადიმერის ასული—თელავის მესამე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან;

ჯაფარიძეშვილი მარიამ აბრამის ასული—თელავის რაიონის სოფელ კისისხევის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის“ წევრებისაგან;

რუსაშვილი ისაკ ლუარსაბის-ძე—საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელავის საცდელი სადგურის მუშების, მოსამსახურეების და მეცნიერი მუშაკებისაგან;

სეხნიაშვილი თამარ საბას ასული — ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

თორაძე ივანე გიორგის-ძე — თელავის რაიონის სოფელ შალაურის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 13 თებერვალი.

16. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეული იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 1957 წლის 20 მარტს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1957 წ. 21 თებერვალი.